ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

„კავკასიის ფონდი“

*ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის (შზსუ) სოციალურ მეცნერებათა ფაკულტეტი და „კავკასიის ფონდი“ იწვევენ ქართველ და უცხოელ სტუდენტებსა და მათ ხელმძღვანელებს I საერთაშორისო კონფერენციაში - **„კავკასია, როგორც ერთიანი კულტურული და ეკონომიკური სივრცე“** - მონაწილეობის მისაღებად*

კონფერენცის ჩატარების თარიღი: **20-23 აპრილი, 2012**
კონფერენციის ჩატარების ადგილი: **შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–13 კმ. # 22, თბილისი, საქართველო**

კონფერენციის სამეცნიერო ხელმძღვანელები: **პროფ. ფარუქ გურსოი, პროფ. ია ხუბაშვილი**

სამეცნიერო და საორგანიზაციო კომიტეტი:

- **თსუ რექტორი ალექსანდრე კვიტაშვილი**
- **შზსუ რექტორი შევქეთ ერჯან თუნჩი**
- **შზსუ რექტორის მოადგილე, შზსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი გიული ალასანია**

- თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი დარეჯან თვალთვაძე
- შზსუ სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი ფარუქ გურსოი
- თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი ია ხუბაშვილი
- თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი ცირა ბარამიძე
- შზსუ სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი ნიკოლოზ ჩიტაძე
- ევროკავშირის წარმომადგენელი საქართველოში ოლივერ რაისნერი
- ილიას უნივერსიტეტთან არსებული კავკასიური კვლევების საერთაშორისო სკოლის დირექტორი პროფ. გია ნოდია
- კავკასიის ფონდის პრეზიდენტი პროფ. გივი ღამბაშიძე
- ჟურნალ „Caucasus"-ის (გერმანია) გამომცემელი და რედაქტორი ლია ვიტეკი

კონფერენციის კონცეფცია:

კონფერენციის მიზანია კავკასიის ქვეყნების ისტორიული, კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობების წარმოჩენა, მსგავსი თუ განსხვავებული პროცესებისა და ტენდენციების გააზრება და პოპულარიზაცია, მომავალი კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობების პერსპექტივების ანალიზი. კავკასია თავისი მულტიეთნიკურობით, მულტიკონფესიურეობითა და შესაბამისად, მულტიკულტურებით გამოირჩევა. ქართველი და კავკასიელი კულტურის მოღვაწეები ყოველთვის ცდილობდნენ ეროვნული ტრადიციებისა და ადათ-წესების შენარჩუნებასა და თანამედროვეობისათვის მათ მისადაგებას. კავკასიელი ხალხის ურთიერთდაახლოების საქმეში ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ეკონომიკური ურთიერთობები. აბრეშუმის დიდი ისტორიული გზაც კავკასიაზე გადიოდა.

კონფერენცია საშუალებას მისცემს მომხსენებლებსა და მონაწილეებს წარმოაჩინონ საკუთარი ხედვა და იმსჯელონ კავკასიაში ერთიანი კულტურული და ეკონომიკური სივრცის შექმნის პერსეპექტივებზე და მათ გააზრებაზე ინტეგრაციულ პროცესებში, აგრეთვე საგარეო ფაქტორთა როლზე ამ სივრცის შექმნაში.

კონფერენციაში მონაწილეობა:

მონაწილეობის ორი ფორმა: 1. მოხსენება/პრეზენტაცია
2. სასტენდო პრეზენტაცია - სამეცნიერო კომიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე

მოხსენების/პრეზენტაციის ფორმა - PowerPoint, პრეზენტაციის ტექსტით ინგლისურ ენაზე.
სასტენდო პრეზენტაციის ფორმა - A2. ვიზუალური მასალა და სრული ტექსტი ინგლისურ ენაზე.

კონფერენციის სამუშაო ენა: ქართული, რუსული, ინგლისური .

ქართული და რუსული ენის შემთხვევაში სავალდებულოა PowerPoint პრეზენტაციისა და მოხსენების ტექსტის წარდგენა ინგლისურ ენაზე.

მოხსენების წარდგენის ფორმატი: [იხილეთ დანართი 1](#).

პრეზენტაციის ფორმატი:

კონფერენციაზე მონაწილეებმა ზეპირად, PowerPoint-ის გამოყენებით უნდა წარმოადგინონ მოხსენებები კომისიის წინაშე. თითოეულ მონაწილეს ექნება 10 წუთი მოხსენებისათვის. 5 დამატებითი წუთი დაეთმობა დისკუსიას.

კონფერენციის სავარაუდო განრიგი: [იხილეთ დანართი 2.]

მნიშვნელოვანი თარიღები!!!

1. თეზისების ჩაბარების საბოლოო ვადა: 1 მარტი, 2012

კონფერენციაში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ თეზისები (მაქსიმუმ 500 სიტყვა) ქართულ, რუსულ ან ინგლისურ ენებზე ხელმძღვანელი პროფესორის რეკომენდაციასთან ერთად.

2. მოხსენებების ჩაბარების ბოლო ვადა: 1 აპრილი, 2012

დასაშვებია როგორც ინდივიდუალური, ისე 2 ან 3 სტუდენტის თანაავტორობით დაწერილი ნამუშევრების ჩაბარება. სტატიების ტექნიკურ და შინაარსობრივ მხარეს განიხილავს მასპინძელი უნივერსიტეტების პროფესორებისგან შემდგარი კომისია.

თეზისები და სტატიები ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ ისინი გამოგზავნილია Microsoft Word და PDF ფორმატში ელ–ფოსტაზე conference_caucasus@yahoo.com

კონფერენციაში მონაწილეობა უფასოა

კონფერენციაში მონაწილეობა მოიცავს:

- კონფერენციის მონაწილეთა (სტუდენტებისა და მათი ხელმძღვანელების) გზისა და საქართველოში ცხოვრების ხარჯებს;
- დასწრებას და პრეზენტაციას კონფერენციის სხდომებზე;
- ექსკურსიებს თბილისსა და ისტორიულ ადგილებში;
- კონფერეციაში გამარჯვებულთათვის პრიზებს;
- კონფერენციის მონაწილეთათვის საერთაშორისო სერთიფიკატს;
- კონფერენცია–ფრომოუშენის მასალის სრულ პაკეტს (მოხსენებები დაიბეჭდება, საუკეთესო მოხსენება კი გამოქვეყნდება გერმანიაში, ჟურნალ „Caucasus“–ში).

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ კონფერენციის ვებ–გვერდზე:
conference-caucasus.ibsu.edu.ge

საკონტაქტო პირები:

კონფერენციის ***შინაარსობრივ*** (ნაშრომების წარდგენა, შინაარსი, პრეზენტაციის ფორმატი და ა.შ.) და ***საორგანიზაციო მხარესთან*** (კონფერენციის განრიგი, მონაწილეთა თბილისში ცხოვრება და ა.შ.) დაკავშირებით: **მაკა ხუციშვილი** – makaakhutsishvili@gmail.com, **ოლენა აბრამიშვილი** – o.abramishvili@gmail.com, **ლიანა ჯაფარიძე** – liana.japaridze@yahoo.com, **გელა ხმალაძე** - gkhmaladze@caucasus.org.ge